2-5079/23
06-04-2023

იურიდიულ საკითხთა კომიტეტს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2023 წლის 20 მარტის №232/6 გადაწყვეტილებით, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს განსახილველად გადმოეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონის პროექტს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/260; 15.03.2023).

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის სავალდებულო წესით განხილვის ვადად განსაზღვრულია 2023 წლის 10 აპრილი. დამატებითი კონსულტაციების საჭიროებიდან გამომდინარე, მითითებულ ვადაში საკითხის განხილვას კომიტეტი ვერ ახერხებს და აქედან გამომდინარე გთხოვთ უზრუნველყოთ დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადის გაგრძელება 60 დღით.

პატივისცემით

კომიტეტის თავმჯდომარე
კახა კახიშვილი